

Literature as Alternative History
(Post-Soviet Conflicts in Georgian Prose)

ლიტერატურა, როგორც ალტერნატიული ისტორია
(პოსტსაბჭოთა კონფლიქტები თანამედროვე ქართულ პროზაში)

Zaza Abzianidze
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
(Georgia)

ზაზა აბზიანიძე
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

In the new millennium, Georgian prose began consistently shifting moral coordinates, this time on the map of contemporary history. The totality of the works cited here can be considered as an example of– the example, that is, of a fictional narrative assimilating the no man’s land untouched by historiography. The most ethically confrontational is Otari Chiladze’s novel, “Godori” (2002). Otari Chkheidze wrote in the introduction to his pertinent novel “White Bear” (1999). Guram Odisharia (“The Return to So-khumi” ,1995), and Gela Chkvanava (“Toreadors”, 2006) describe the war in Abkhazia with shocking realism and honesty in his short stories. Marine Elbakidze’s story, “The Exchange” (2012) seems to continue Gela Chkvanava’s tragic plot. The term “exchange” meant the exchange of the prisoners and the deceased in this pointlessly started and disgracefully ended military conflict. Nugzar Shataidze’s moving story with an exotic title, “A Voyage to Africa” (2003). Tamta Melashvili’s pacifist “Jinxing” (2015) tells the story of teenage girls living in a village within the conflict zone with fine psychological insight. Whatever took place in the said zone during the 2008 “August war” is told with documentary precision by Guram Megrelishvili and Tamaz Demetrasvili in their “Iratia.ru” (2010). And, finally, we should mention Zaza Burchuladze, who shocked his readers with his grotesque “modelled chronicle” under the title “Adibas” where he employed dark humour to carry out the Russian military plan (of taking over Tbilisi) as a

backdrop for the elite of the capital, whose leisurely life goes on unchanged by the event...

Thus, step by step, during the last decade, Georgian prose has taken up the mission of “alternative history,” surely in part out of hope that such would create an ethical alternative to counteract the chaos of values and views that is most typical for the post-Soviet societies torn between authoritarianism and democracy.

Keywords: Postsoviet conflicts, “Alternative history”, Modern georgian prose

საკვანძო სიტყვები: პოსტსაბჭოთა კონფლიქტები, „ალტერნატიული ისტორია“, თანამედროვე ქართული პროზა

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული სინამდვილე, ასახული იმდროინდელ მოვლენათა პროტაგონისტებისა თუ ქონისტების მემუარებსა და ისტორიულ ნარატივებში, იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ გაგახსენდებათ თომას ელიოტის ღვარძლიანი პარადოქსი: „დღევანდელი ცვლის წარსულს“. რადგან „წარსული“, ამ შემთვევაში მეხსიერებაში ჯერ კიდევ წაუშლელი ჩვენი გუშინდელი დღეა, „ისტორიული ფოტოშოპის“ მეთოდი სულ უფრო და უფრო არადამაჯერებელი ხდება.

იმდროინდელი შინა თუ გარე კონფლიქტების ფუნდამენტური და ობიექტური გამოკვლევების სიმწირის ფონზე, ქართული საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივან მოვლენათა ლიტერატურული თვალსაწიერიდან გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

1991-1992 წ.წ. სახელმწიფო გადატრიალების, შემდგომი სამოქალაქო ომის და ეთნოკონფლიქტების ისტორია გადამდგარი პოლიტიკოსებისა და გენერლების მემუარებში, ისევე როგორც ბიოგრაფოსთა და „ჟამთააღმწერელთა“ ქრონიკებში წარმოგვიდგება, როგორც მეტნაკლებად წარმატებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა თუ სამხედრო ოპერაციათა ნუსხა. და მხოლოდ მწერლისათვის ომი – ესაა

აკუმულირებული ზნეობრივი, სოციალური და მენტალური პრობლემების მანიფესტაცია ტრაგიკული შედეგით, როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ მხარეთათვის.

სათაურს – „ლიტერატურა, როგორც ალტერნატიული ისტორია“, რაღა თქმა უნდა, ერთგვარი პირობითობა ახლავს. თუმცა, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები გვაძლევენ ამგვარ განზოგადებათა ნებას: ვერანაირი აღწერანი, თუნდაც ეს გენერალ პოტოს „კავკასიური ომის“ ხუთი ტომი ყოფილიყო, ვერ აგრძნობინებდა მკითხველს „ჰაჯიმურატის“ ტრაგიზმის მეთაქვსადაც კი.

ჩვენის მხრივ, ქართველი მკითხველები, განსაკუთრებით ვემაღლიერებით განუმეორებელ ალექსანდრე ყაზბეგს, რომელმაც თავის „კავკასიურ საგაში“ შეძლო „ისტორიკოსისათვის მიუწვდომელი დამაჯერებლობით“ (ლერმონტოვთან დაკავშირებით ნათქვამ, ალექსანდრე ეტკინდის გამოთქმას თუ გავიმეორებ) დაეხატა ამ დაუმორჩილებელი მხარის კოლონიზაციის დრამატული პანორმა. რაც უფრო სულისშემძვრელი იყო ამ საგის ერთ-ერთი მოთხრობის – „ელბერდის“ გმირის, ახალგაზრდა ჩეჩენი ვაჟკაცის სიყვარულისა და სიკვდილის ისტორია, მით უფრო მკაფიოდ აღვიქვამთ ჩვენ ამ ტრაგიკული სიუჟეტის გაგრძელებად ყოველივეს, რაც კი ხდებოდა და ხდება კავკასიონის ქედის ორივე მხარეს.

სამეცნიერო ნაშრომების აკადემიზმი და პროზაული მონოლოგების სიმძაფრე, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის განსხვავდებოდნენ, მაგრამ ახალ ათასწლეულში ქართულმა პროზამ რაღაც გაათკეცებული დაჟინებით დაიწყო ზნეობრივი კოორდინატების გადანაცვლება ბოლო ათწლეულთა მოვლენების „ისტორიულ რუკაზე“. ოთარ ჩხეიძე და ოთარ ჭილაძე, გურამ ოდიშარია და ნუგზარ შატაძე, გელა ჩქვანავა და გურამ მეგრელიშვილი, თამთა მელაშვილი და მარინა ელბაქიძე ქართველ პროზაიკოსთა სხვადასხვა თაობებს ეკუთვნიან. მიუხედავად ამისა, აქ ციტირებული მათი ნაწარმოებების ერთობლიობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „ალტერნატიული ისტორიის“ მაგალითი, ანუ მხატვრული ნარატივის მიერ ისტორიოგრაფიისაგან ხელუხლებელი „საარვისო მიწის“ ათვისება.

ლიტერატურის „ალტერნატიულობა“ მჟღავნდება არა რადიკალური უარყოფით ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული კონცეპტებისა, არამედ გარემოებათა ზნეობრივი ასპექტების მაქსიმალურ აქცენტირებაში, რაც, შემდგომ, რაღა თქმა უნდა, თავის კვალს დაამ-

ჩნევს ისტორიული პანორამის ამა თუ იმ მონაკვეთის საბოლოო შეფასებას.

სწორედ ასეთი ზნეობრივი სიმძაფრით გამოირჩეოდა ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“ (2002 წ.). „ამ რომანმა უბრალოდ შემძრა, – იტყვის ერთ-ერთ ინტერვიუში „გოდორის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი ალექსანდრე ებანოიძე, – თანამედროვე საქართველოს ტრაგედია ისეთი ტკივილითა და სიმძაფრით, არავის აღუწერია, როგორც ოთარ ჭილაძეს, თავად ტრაგიკული მსოფლშეგრძნების პატრონს“ (Эбаноидзе, 2010, გვ. 6). აქვე დავსძენ, რომ რუს კოლეგათაგან თარგმანს წილად ხვდა დიდი მოწონება, ხოლო რომანს – მძაფრი ინტერესი და შთაბეჭდილებათა მდიდარი სპექტრი აღფრთოვანებიდან – წყენანარევ აღიარებამდე. არცაა გასაკვირი...

გოდორი – ოთარ ჭილაძესთან მეტაფორაა იმ „ანტიკვანისა“, რომელმაც მკვლევლებისა და ზნეობრივი არამზადების ოთხი თაობა გამოზარდა. ამ ტრაგიკული ნარატივის კიდევ ერთი „გამჭოლი მეტაფორაა“ – ჩეკისტების მიერ დახვრეტილთა ორმოებზე წარმოშობილი მუმლის ღრუბელი, რომელიც თანსდევს კაშელებს და გაუსაძლის ხდის მათ ცხოვრებას – სიგიჟემდე და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

ოთარ ჭილაძის თხრობის მანერაში ყველა დეტალი გათვლილია – იქნება ეს კოდალას ნისკარტით კაკუნისა და ტყვიამფრქვევის სროლისას პაუზების თანხვედრა თუ აბეზარი კრაზანა, რომელიც მურმანსკიდან „მცირერიცხოვანი აფხაზების“ დასახმარებლად ჩამოსული ნეტარი კომკავშირელი გოგოს სნაიპერული შაშხანის კონდახიდან აფრინდება „სამიზნის“ ძიებაში. სამიზნე კი, რამდენიმე წამის შემდეგ სნაიპერის ტყვიით მოპირდაპირე სანგარიდან საბედისწეროდ წამომართული, ამ რომანის, ვგონებ, ერთადერთი დადებითი პერსონაჟი – დაბნეული და უმწეო პოეტი ელიზბარი იქნება...

ერთი შეხედვით, „იმპერიულ დისკურსს“ ოთარ ჭილაძის რომანში „გენდერული ელფერი“ ამჩნევია: კიდევ ერთი კომკავშირელი, ამჯერად – კლავა, თავის ქმართან – რაჟდენ კაშელთან ერთად, „წითელ“, მე-11 არმიასთან ერთად, 1921 წლის თებერვალში თბილისში შემოდის, იმავე დღეს იმშობიარებს და კაშელების ამაზრზენი დინასტიის „დედამთავარი“ ხდება. მაგრამ ეს სიმბოლოკა „იმპერიული აისბერგის“ მხოლოდ „ხილვადი“ ნაწილია. უხილავი კი, ჩაკვირვებული კითხვისას, ნაწილ-ნაწილ წარმოჩნდება: აქა-იქ გაბნეული „მარკერების“, დაპყრობილ ქვეყანაში „კაშელებისნაირთა“ დამკვიდრებისა და გაბატონებისათვის აუცილებელი ატრიბუტების სახით – „სატყუარე-

ბით“ დაწყებული და „ეშაფოტებით“ დამთავრებული. თუმცა, „იმპერიული პორტრეტი“ აქ საკმაოდ განსხვავდება კოლონიალური კლიშესაგან. აქ კვლავ ალექსანდრ ეტკინდის ერთი ციტატა მინდა მოვიხმო მისი კლასიკური ნაშრომიდან „შინაგანი კოლონიზაცია: რუსეთის იმპერიული გამოცდილება“: „ევროპულ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიამ მოახერხა იმპერიული გრადიენტი უკუღმა შემოეტრიალებინა: პერიფერიაში ადამიანები უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე ცენტრალურ გუბერნიებში“ (Эткинд, 2014, გვ. 387).

ამ „პერიფერიის“ ჩრდილო და დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ეთნოსებში, იქ, სადაც „პროტესტანტული ეთიკა“ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, საგრძნობმა კეთილდღეობამ ვერ შერყია ზნეობრივი საფუძვლები. სამხრეთში, და კერძოდ, „იმპერიული სიკეთეებით“ განებივრებულ საქართველოში ამ მხრივ სავალალო სურათი იყო. და არცერთ თანამედროვე ქართულ ნაწარმოებში ისეთი გამეტებითა და სარკაზმით არ აღწერილა ეს სურათი, როგორც „გოდორში“.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში დანერგილი ტრადიციის თანახმად, ოთარ ჭილაძის შემოქმედების მწვერვალად მისი პირველი ორო რომანი ითვლებოდა: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“ – ქართული „მაგიური რეალიზმის“ პირველი შედეგები. მაგრამ თავის ბოლო რომანში ამ არაჩვეულებრივმა მწერალმა თავის თავს აჯობა – წლებით დამძიმებულმა, ქართველობაში კარმიულად განმეორებადი მანკიერებანი მან ჭაბუკური სიმძაფრით და გამეტებით აღწერა და განუმეორებლად ექსპრესიულ, დამუხტულ, დრამატულ მხატვრულ ფენომენად აქცია. ისე მგონია, თუ ქართულ საზოგადოებას არ ეყოფა გაბედულება „გოდორის“ ზნეობრივ პარადიგმაში თავისი თავი დაინხაოს, ჩვენ ვერასოდეს ამოვძვრებით ამ წყეული, დაწნული ხაფანგიდან...

ოთარ ჩხეიძემ, რომელიც თავის სეხნიაზე რამდენადმე უფროსი იყო, მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის მხატვრული ანალოგი შეექმნა. ამ მატინის თანამედროვე, გამორჩეულად დრამატული ნაწილი წარმოდგენილია რომანებით „არტისტული გადატრიალება“ (1993), „თეთრი დათვი“ (1996) და „ბერმუდის სამკუთხედი“ (2000). არაა ძნელი ამოსაცნობი, თუ რომელ რომანშია განსაკუთრებით აქცენტირებული ჩვენთვის საინტერესო თემატიკა. რაღა თქმა უნდა – ეს „თეთრი დათვია“. საავტორო წინათქმაში ოთარ ჩხეიძე (1999, გვ. 2) წერდა: „თეთრი დათვი“ უშუალოდ მისდევს „არტისტულ გადატრიალებას“ იმასთან ერთად გამოჰხატავს ჩვენი საუკუნის 90-იანი

წლების ვითარებას საქართველოში, ქართულ ტრაგედიას საერთაშორისო ვითარების ფონზე...“.

ამ რომანში, აკადემიურ გამოკვლევათაგან განსხვავებით, ზუსტადაა გამოძერწილი დაპირისპირებულ ძალთა პროტაგონისიტების ფსიქოლოგიური პორტრეტები, ხოლო მდიდარი ემოციონალური პალიტრა (თანაგანცდა, იუმორი, გროტესკი თუ ანტიპათია) ცოცხლად ასახავენ ეროვნული მოძრაობის ლიდერების ეიფორიას და დაბნეულობას უეცრად მოპოვებული თავისუფლებისაგან. ამის შემდგომ, აღწერილია რუსეთის მიერ ინსპირირებული ანტისამთავრობო ამბოხი და სამოქალაქო ომისა და კრიმინალის ზეობის გაუსაძლის პერიოდი.

„აკადემიურ გამოკვლევებს“ რაც შეეხება, მრავლისმეტყველია „შავბნელი პერიოდის“ ლაკონური რეზიუმე, რომელიც გვამცნობს, რომ „1995 წლიდან დამთავრდა უკანონო სამხედრო ფორმირებების თარეში, რამაც ხელი შეუწყო სტაბილიზაციას და ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ მიბრუნებას“ (ვაჩნაძე, გურგენიძე, 2014, გვ. 315).

„არტისტულმა გადატრიალებამ“ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო „პოსტტრანშვანური შოკისაგან“ და ავადმყოფურად რეაგირებდა „ცნობადი სახეების“ სარკასტულ პორტრეტებზე.

განსხვავებით „გოდორისაგან“, სადაც სიმბოლიზირებული იმპერიული დისკურსი მთელ ნარატივს გასდევს და, მეტნაკლებად, ყველა პორტრეტში მჟღვნიდება, ოთარ ჩხეიძე, დოკუმენტური თხრობის თავისი მანერით, სიმბოლიზმს პრაქტიკულად არ მიმართავს: იმპერიული დიაკურსი ტრილოგიაში ყოვლად რეალისტური პოლიტიკური სიუჟეტებითა და პერსონაჟებითაა წარმოაჩენილი, ხშირად, გვარ-სახელების შეუცვლელადაც კი... სრულიად კონკრეტული პროტოტიპი ჰყავდა „თეთრი დათვის“ რაინდ პროტაგონისტს – ბაადურ რიკოთელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონაწილეს, რომლის ბიოგრაფიაშიც ომი – განუზომელი ტრაგედიისა და სულიერი კათარზისის პერიოდად დარჩა.

„აფხაზური თემა“ დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში მყარადაა ასოცირებული გურამ ოდიშარის სახელთან, რომელმაც ჯერ თქვა, რომ „ომს იწყებენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ისტორიკოსები, ხოლო განაგრძობენ გენერლები“, ხოლო შემდეგ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გუშინდელ მეგობრებსა და მეზობლებს შორის ამ პოლიტიკოსებისა და გენერლების მიერ ჩატეხილ ხიდქვეშ ადამიანური ურთიერთობის გადამრჩენი ფონი მოეძებნა...

გურამ ოდიშარიას ავტობიოგრაფიული წიგნი „სოხუმში დაბრუნება“ (1995), რამდენადაც მახსოვს, იმ ტრაგიკული დრეების პირველი მწერლური გამოძახილი იყო. მან, დაჭრილმა, გაიარა ჭუბერის უღელტეხილი – გზა, რომლითაც სოხუმის დაცემის შემდეგ თავს შველოდა თავისი სახლებიდან განდევნილი, განაწამები ათასობით მისი თვისტომი. მან გაიარა ეს გოლგოთის გზა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და, შესაძლოა, რომ ის მეორე გზა – ყოველივე მომხდარის გაცნობიერებისა და ზნეობრივი შეფასების – არანაკლებ მძიმე იყო... „სოხუმში დაბრუნება“ სწორედ ამ ორი გზის გადაკვეთაზე დაიწერა.

ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა გურამ ოდიშარიას მოთხრობა – „ძმისწული“, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთი, რეალური, ომისდროინდელი ამბავი ქართველი მეომრის მიერ აფხაზი ბავშვის გადარჩენისა. ორ ნაჩხუბარ მეზობელს, ბოლოს და ბოლოს, შეუძლიათ ერთმანეთს გაეცალონ და ცხოვრების ბოლომდე უბრად იყვნენ. მაგრამ ერთ მიწაზე მცხოვრები ორი ეთნოსისათვის ეს გზა მიუღებელია – შეუძლებელია დევნილთა ტრაგედიის ფასად „გამარჯვებულთა“ კეთილდღეობა აიგოს... ერთადერთი გამარჯვება მსგავს კონფლიქტში – გონიერების გამარჯვებაა შურისძიების გრძნობაზე. იმ შურისძიებაზე, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ, გასაგებია, მაგრამ ეროვნული პოლიტიკის რანგში აყვანილი – დამღუპველი. სწორედ ეს იდეა ასაზრდოვებს ავტორის იმედს, რომ მომავალში „ძმისწულის“ გმირებს აღარ მოუწევთ ერთმანეთს ავტომატის სამიზნიდან უყურონ...

ყოველივე ეს – წარმოსახულ მომავალში. მაგრამ ჯერ კიდევ არდავიწყებულ ახლო წარსულში ლიტერატურული გმირები ერთმანეთს სწორედაც რომ ავტომატის სამიზნიდან უყურებენ.

ამ თემაზე დამზფრავი რეალიზმითა და გულახდილობით წერს აფხაზეთის ომის კიდევ ერთი ვეტერანი გელა ჩქვანავა თავის „ტორეადორებში“ (2006). ამ სულისშემძვრელ მოთხრობაში იშვიათი მწერლური ოსტატობითაა აღწერილი არა მხოლოდ ჩვენი ყურთასმენისათვის უკვე ჩვეული „ბრძოლის ჟინი“, არამედ მოწინააღმდეგის სიკვდილით ტკბობა, დაბოლოს, ნანატრი სიკვდილი – ნეტარება გაუსაძლისი ტანჯვისა და ტკივილის შემდეგ...

„ტორეადორების“ ტრაგედიის ბოლო მონოლოგი არაა ადვილი მოსასმენი:

„ლიმონკის აფეთქების შემდეგ მოვა და მთელ რაჟოკს დამაცლის!“ – გაიფიქრა და მოუნდა, რაც შეიძლება მალე დამავრებულიყო ყველაფერი, რომ გაურჩებულ, უსიცოცხლო და ქვასავით დამძიმებულ ფილტვებს აღარ შეეწუხებინა და შვება ეგრძნო. საკუთარი დაუმორჩილებელი, ტკივილით გათანგული სხეულიც სძაგდა და უნდოდა მისგან განთავისუფლებულიყო. მხოლოდღა ახლა მიხვდა, როგორ დაღლილიყო და როგორ მონატრებოდა დასვენება და უშფოთველობა...“ (ჩქვანავა, 2006, გვ. 110)

მარინე ელბაქიდის მოთხრობა „გაცვლა“ თითქოსდა განაგრძობს გელა ჩქვანავას ტრაგიკულ სიუჟეტს. რადგან „გაცვლაში“ – ტყვეებისა და დაღუპულთა ცხედრების გაცვლა იგულისხმობა ამ უაზროდ დაწყებულ და უღირსად დამთავრებულ ომში... ჩქვანავას მოთხრობაზე არანაკლებ ძნელი საკითხავია ტრაგიკული ისტორია მამისა, აფხაზებთან ტყვედ მოხვედრილი ყმაწვილი „ტორეადორის“ დახსნას რომ ცდილობს...

მარინე ელბაქიძე (აქვე შევნიშნავ, რომ იგი „სახალხო დიპლომატიის“ პრობლემებზე მომუშავე პროფესიონალი ფსიქოლოგია) გვიყვება იმ კეთილშობილებაზეც და იმ სისასტიკეზეც, რომელიც, ვაი რომ, ორივე მხარეს საკმარისად იყო და იმ ორ, მოსკოვის ასპირანტურაში დამეგობრებულ „დონ-კიხოტზე“, აფხაზზე და ქართველზე, თავისი ოჯახები რომ დატოვეს და თეთრი ღროშებით ნეტარად დაბოდიხალობენ სამხედრო ნაწილებში. აბა, რომელ ისტორიულ ნაშრომში ამოიკითხავთ არმიის „საკადრო შემადგენლობის“ ასეთ კლასიფიკაციას: „...შტაბები, გენერლები და ჯარისკაცები, ზოგი განრისხებული, ზოგი გაბოროტებული, ზოგი საბრძოლველად შემართული და ზოგი წამხდარი, სხვადასხვაგვარად. მთვრალი, ჭკვიანი, ნარკომანი, დარდიანი, დასაბმელი გიჟი ან თავდადებული ნეტარი...“ (ელბაქიძე, 2012, გვ. 27).

ნუგზარ შატაიძის გულშიჩამწვდომი მოთხრობა ეგზოტიკური სათაურით – „მოგზაურობა აფრიკაში“ მართლაც მოგზაურობაზეა, მაგრამ არა აფრიკაში, არამედ აფხაზურ ტყვარჩელში. ხოლო მოგზაური ცნობისმოყვარე ტურისტი კი არაა, არამედ მოზარდი, სადღაც მიგდებული, დაუმთავრებელი კორპუსის სარდაფის „ბინადარი“ – ობოლი, რომელსაც ორივე მშობელი ცოცხალი ჰყავს, უსახლკარო ლტოლვილი. უფრო ზუსტად – „ორგზის ლტოლვილი“, რადგან პირ-

ველად დედამისთან ერთად აფხაზ ბოევიკებს გამოექცა მშობლიური ქალაქიდან, ხოლო მეორედ – მშობელ დედას და მის ნამირალა საყვარელს – შეშინებული დედამისის სადიზმით და კიდევ უფრო – გულის სიღრმეში გაელვებული სისხლის წყურვილით...

დედა სათვალავში აღარაა. მაგრამ, ეგებ ტყვარჩლის საავადმყოფოში დარჩენილი მამა გამომჯობინდა?! ჰოდა, „ობოლი“ გადაწყვეტს დატოვოს თავისი სარდაფი და ტყვარჩელში გაემგზავროს მამის საპოვნელად. გეხს ყნოსვით აგნებს, როგორც პატრონებისაგან მიტოვებული ძაღლი:

„საკვირველი იყო, მაგრამ მამისა ყველაზე მეტად სუნი მახსოვდა. ეს იყო თამბაქოს, მჟავე ღვინისა და კიდევ რაღაცის სუნი. ეს სუნი უდიოდა მის ტანისამოსს, მის წიგნებს, ბინას, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ეს სუნი მიყვარდა. შემემძლო ამ სუნით მიმხვდარიყავი, რომ მამა ღამის ცვლიდან შინ დაბრუნდა და ახლა საცაა ლოგინში მწოლს თავზე დამადგებოდა და ცივ, ჩხვლეტია ლოყას მომადებდა...“ (შატაიძე, 2010, გვ. 278).

მიდის, რაღაც დანაზოგი კაპიკებისა და იღბლის იმედად... სხვათა შორის, გაუმართლა: პირწმინდად არ ამოწყვეტილან გულითადი ადამიანები: ერთმა მანქანაში დაიმგზავრა, მეორე – ენგურის ხიდზე აფხაზების „კორდონის“ გაღწევაში დაეხმარა. იქითა მხარეზეც იგივე განმეორდა – ერთნი ლუკმას უწილებენ, მეორენი ღამის გათევას სთავაზობენ, მესამენი – ხიფათს განარიდებენ:

„...ისევ იმ დედაბერზე ვფიქრობდი, – მიკვირდა, რა რჯიდა, რატომ უთხრა აფხაზ მესაზღვრეს, ჩემი შვილიშვილიაო. კარგი ადამიანი როგორ არ შემხვედრია, თუნდაც ის ქალი, საბანი რომ მაჩუქა, ან კიდევ, დეიდა მანანა, მაგრამ ხო ვიცი, რომ ამ ქვეყნად ცუდი და ბოროტი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე კარგი...“ (შატაიძე, 2010, გვ. 271) – ცხოვრებისეული გამოცდილების უნუგემო დასკვნა...

და აი, „ობოლი“ უკვე ტყვარჩელშია, თავისი ბინის კარებთან. აქ ერთგვარი პირობითობაა, რადგან, მათ ბინას კარი აღარა აქვს, შიგნით სიცარიელეა, იატაკზე, ნაგავი ყრია და კიდევ – „რაღაც გამოუსადეგა-

რი ნივთები“, რომელთა შორის, თავისი ბავშვობის განუყრელ „თანამგზავრს“ – ნაჭრის დათუნია „გერასიმეს“ აღმოაჩენს...

გავერანებული მშობლიური კერის ნახვით დაზაფრულ ბიჭს კიდევ ერთი „სიურპრიზი“ ელის: მამამისს მეზობლის ქალი შეურთავს – „ორი გოგო ყავთ, შენი დებია მაგენი, ბებია, უნდა გეიცნო და მოეფერო...“ – არიგებს მოხუცი მეზობელი და დასძენს, – არმავირში ცხოვრობენო... (შატაძე, 2010, გვ. 280).

და, ამ სევდიანი ისტორიის ფინალი: „დილით, თბილისის სადგურზე მატარებლიდან რომ ჩამოვედი, პირდაპირ ბაზრობაზე წავედი. ფული კიდე მქონდა და ვიყიდე შავი ფერის ორი, ოცკაპიკინი პარკი, ექვსი ცალი წებო და ჩემს სარდაფს მივაშურე“ (შატაძე, 2010, გვ. 280).

აუცილებელი არაა ალიოშა კარამაზოვი იყო, რომ იგრძნო, როგორ მკრთალდება ჩვენი ხოტბაშესხმული „მიღწევები“ დაუსრულებელი კორპუსის ბნელ სარდაფში და, ისე მგონია, შავი ცელოფანის პაკეტით სახეაფარებული ბიჭის შემხედვარეთ, აღმოგხდებათ: „ღმერთო, ეს რა ჩავიდინეთ!“.

„აფხაზეთის ომის“ ტრაგედიაზე ფიქრისას, როგორც წესი, მახსენდება ლიტერატურული ახალაობის ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – ბექა ქურხულის ერთი განვრცობილი, ექსპრესიული მეტაფორა მისი „ჩანაწერების“ წიგნიდან:

„როდესაც კადრებს ვუყურებ, როცა მახსენდება, ამ არაორგანიზებულ, არეულ შპანას, რომლის ყოველი ათეულიდან, ერთი პოეტი იყო, მეორე ფიზიკოსი, მესამე ნარკომანი, მეოთხე ძველი ბიჭი, მეხუთე შილდელი მოჭიდავე, მეექვსე ციხიდან გამოქცეული, მეშვიდე მეოცნებე, მერვე შეყვარებული, მეცხრე გიჟი და მეათე პარლამენტის დეპუტატი, როგორ ეჭირა ზუსტად 13 თვე და 13 დღე ფრონტის ხაზი, როგორ იგერიებდა სოხუმზე შეტევებს და 14-16 მარტს როგორ გადაუარეს მტერს, როგორ გაანადგურეს ტამიშთან დესანტად გადმოსხმული ყველაზე ელიტარული და გასაიდუმლებული რუსული სამხედრო სპეციალური ქვედანაყოფი „ლეტუჩიე მიში“, როგორ ებრძოდნენ ყველას, რუსულ რეგულარულ არმიას, თავისი ავიაციითა და არტილერიით, კაზაკებსა და ადილებს, ჩეჩნებსა და ყაბარდოელებს, ბაგრამიანის სომხურ ბატალიონს და აფხაზებს, იბრძოდნენ უიარალოდ, მოუმზადებლად, სულელურად, უდისციპლინოდ, აბსოლუტურად მარტოები, ჩვენი

თბილისელი ქურთის ბიჭების ანაბარა და მაინც როგორ მაგრად იდგნენ, თეთრი გაცვეთილი ბოტასებით და გახუნებული, სხვადასხვანაირი კამუფლაჟებით და კიდევ დიდხანს იდგებოდნენ, შევარდნაძის დედა და მისი ცნობილი ხელშეკრულებები რომ არა, როცა მახსენდება როგორ იბრძოდნენ და როგორ წავიდნენ უკანმოუბრუნებლად, ჟილკიანები და ოხრები, ტარტაროზები და მაგრები, სულ მგონია, რომ ამ ომში საქართველო კი არ დამარცხდა – მოკვდა!

არა, საქართველო ყოველთვის იარსებებს, განათებული, შეღებილი, გამჭვირვალე პოლიციის განყოფილებებით, სარფის საბაჟოებით, სასტუმროებით, „ფანტანებით“, „მოტო-ველოთი“, ისევ დამარცხდება და ისევ იზეიმებს. მაგრამ ეს სხვა საქართველო იქნება.

ის საქართველო კი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ლალი, ნიჭიერი, რომანტიული, გულუბრყვილო, ლამაზი, სულელი და თავგანწირული, კეთილი და თავზე ხელაღებული საქართველო თავის უკანასკნელ ომში მოკვდა. ომში და არა ლოგინში!“ (ქურხული, 2013, გვ.123).

თამთა მელაშვილის (იგი გენდრული საკითხების ექსპერტი გახლავთ) ლიტერატურული დებიუტი – მოთხრობა „გათვლა“ რამდენიმე საპატიო პრემიით აღინიშნა და უცხო ენებზე ითარგმნა. ლიტერატურული პრესა ერთსულოვანი იყო ამ იშვიათად პაციფისტური მონათხრობის შეფასებაში. ერთ შეხედვით, სიუჟეტი მარტივზე-მარტივია: სამად-სამი დღე კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელში მცხოვრები, ძალიან მოწყვლად, გარდამავალ ასაკში მყოფი დების ცხოვრებიდან. ავტორი პროფესიონალი ფსიქოლოგისა და ჩაკვირებული მწერლის ოსტატობით მკითხველს ისეთი აბსურდული სიტუაციის თამნამონაწილედ ხდის, სადაც ბოლომდე არაფერია გარკვეული – თავად ამ ორი, სიცოცხლით სავსე მოზარდის რეფლექსიებიდან დაწყებული და „ფრონტისპირა ზონის“ განთავსებით დამთავრებული... ღმერთისაგან და ხელისუფლებისაგან დავიწყებული, გაწამებული ადამიანების შემყურენი, გაიფიქრებთ, რომ ქვეყანა შეიშალა და ამ სისხლშეუმშრალ მიწაზე შეუძლებელი გახდებოდა ცხოვრება, ეს ორი, ჯერ კიდევ გაუხევებელი გულის მქონე საყვარელი არსებანი რომ არა...

სოფელი, რომელზეც „გათვლაში“ იყო მოთხრობილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარეობს. თუ რა ხდებოდა ამ ზონაში 2008 წლის „აგვისტოს ომის“ დროს დოკუმენტური სიზუსტით მოგვითხრობს გურამ მეგრელიშვილისა და თამაზ დემეტრაშვილის ნარატივი „iratta.ru“ (აქვე შევნიშნავ, რომ გურამ დემეტრაშვილი – ახალგაზრდა მწერლია, ხოლო მისი თანატოლი და თანაავტორი – თამაზ დემეტრაშვილი – ანტიტერორისტული საკითხების ექსპერტი). რა თქმა უნდა, ასეთი ტანდემი სანდოობას მატებს მათი თხრობის ფაქტოლოგიურ ნაწილს. უჩვეული სათაური – „iratta.ru“ ადვილი გასაშიფრია, ინტერტნეტში თუ ჩაიხედავთ: ოსური, თუმცა, რუსულენოვანი დომენის მისამართია. აი, თავად ამ უმოწყალოდ შეუფერადებელი მონათხრობის „გაშიფრვა“ კი ნამდვილად ვერ დაგაყენებთ კარგ ხასიათზე, რადგან დარწმუნდებით, რომ მთელი ეს სამხედრო ოპერაცია რუსული გენშტაბის სცენარით წარიმართა, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველო სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში ჩართულიყო. ჩაერთო კიდეც და ამ ჩართვის შედეგებს დღემდე ვიმკით.

ერთ საჟურნალო ინტერვიუში გურამ მეგრელიშვილი (2010, გვ. 45) ამბობდა: *„ომი ყველასთვის სხვადასხვა რამ არის – ზოგისთვის სიკვდილია, ზოგისთვის უსახლკარობა, ვიღაცისთვის ფულის შოვნის კარგი და იოლი გზა, სხვისთვის საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის საუკეთესო მიზეზი. სიმნამდვილეში ომი უბედურებაა, რადგან აქ მართალი მხარე არ არსებობს. მართლები ისინი არიან, ვინც თავისი ქვეყნისათვის კვდებიან“.*

2008 წლის რუსული სცენარის წარმოსახულ გაგრძელებას გროტესკული ფორმით აღწერს ზაზა ბურჭულაძე თავის „მოდელირებულ ქრონიკაში“ სათაურით „Adibas“: თბილისში რუსული ჯარია შემოსული: ერთი ბატალიონი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განთავსდა; პეკინის ქუჩაზე და ტელეცენტრთან – ბლოკპოსტებია, ბოტანიკური ბაღი, გაგარინის მოედანი და საბურთალოს ბაზარი იბომბება... ჰოდა, რა მოხდა ისეთი?! ცხოვრება გრძელდება, ქართული „ბომონდი“ თავის ჩვევებს არ დალატობს და საცურაო აუზზე მზეზე ირუჯება... ფონად, სასიამოვნო მუსიკა ჟღერს... ქალაქის ფონს ეროტიკული მიზანსცენა ენაცვლება – მთავარი გმირი სატრფოს სუპერ-სექსის გაკვეთილს უტარებს... „Adibas“-ის რუსული გამოცემის ანოტაციაში ხაზგასმული იყო, რომ ამ ეპატაჟურ, მაგრამ დაუნდობლად რეალისტურ რომანში მისი გმირების ომამდელი უდარდელი ცხოვრების ილუზო-

რულობა და სიცარიელე გამოაშკარავა „ასეთვე პატარა და ყალბმა ომმა“. ანოტაციის ავტორებს აქ მხოლოდ ის შეეშალათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი, „პატარა“ კი იყო, მაგრამ „ყალბი“ ნამდვილად არ ყოფილა!

რამდენიმე წლის წინ, ქართულ პრესაში ორმა პოპულარულმა პოლიტოლოგმა გამოაქვეყნა მათ მიერ შედგენილი ნუსხა ქართველი პრეზიდენტების შეცდომებისა (ინტერნეტგაზეთი Ambebi.ge 25-08-2015). გულდამამძიმებელი სურათია: ჯერ ამ „შეცდომების“, რაც ათასობით ადამიანთა ტრაგდიად შემოგვიბრუნდა და მერე – თავად ამ მიმომხილველების ზედაპირული შეფასებების, რომლებშიც ძნელი არ იყო იმწუთიერი პოლიტიკური კონიუქტურის დანახვა. კიდევ უფრო საწყენია, როდესაც ასეთივე კონიუქტურაც ვამჩნევთ პოსტსაჭოთა ეპოქის ისტორიულ მიმომხილველს, გაუცნობიერებლად აგებულს სწორედ რომ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების კლიშეებზე, რასაც გზადაგზა, უკვე ჩვენს თვალწინ აღმოცენებული მითოლოგია ემატება...

და აი, სწორედ აქ გამოდის ავანსცენაზე გუშინდელ კლიშეებსა და დღევანდელ მითებს განრიდებული ქართული პროზა, რათა, მოურიდებლად (ზოგჯერ – დაუნდობლად) დაანახოს მკითხველს – რა ხდებოდა და რა ხდება მის ქვეყანაში, მოუყვეს უსახელო გმირებზე და შენიღბულ ლაჩრებზე, მტრის მზაკვრობაზე და საკუთარ წინდაუხედაობაზე... ყოველივეზე, რამაც, ერთობლიობაში განაპირობა ჩვენი დღევანდელი, ძალიან მყიფე და სახიფათო არსებობა...

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ჩვენმა მწერლობამ იტვირთა „ალტერნატიული ისტორიის“ მისია, უთუოდ იმ იმედითაც, რომ შექმნიდა ერთგვარ ზნეობრივ ალტერნატივას ღირებულებათა და წარმოდგენათა იმ ქაოსის საპირწონედ, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის მოქცეულ პოსტსაბჭოთა საზოგადოებათათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბურჭულაძე, ზ.(2011). *Adibas*. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
- ელბაქიძე, მ. (2012). *გაცვლა*. თბილისი: „დიოგენე“.
- მეგრელიშვილი, გ. (2010). ინტერვიუ. თბილისი: ჟურნ. „ცისკარი“, 2010, 10.
- მეგრელიშვილი, გ., დემეტრაშვილი თ. (2010). „Iratte.ru.“. თბილისი: „ალიანსი“.
- მელაშვილი, თ. (2015). *გათვლა*. [“Foresaght”]. თბილისი: „დიოგენე“.
- ქურხული, ბ.(2013). ჩანაწერები (1993-2011). [“Memory”]. თბილისი: „საუნჯე“, 123.
- შატაიძე, ნ. (2010). შეხვედრა. [“Meeting”]. თბილისი: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“.
- ჩქვანავა, გ. (2006). ტორეადორები. [“Toreadores”]. თბილისი: „დიოგენე“.
- ჩხეიძე, ო. (1999). თეთრი დათვი. [“Polar bear”]. თბილისი: „ლომისი“.
- ჭილაძე, ო. (2003). გოდორი, [“Godori”]. თბილისი: „რუსთავი 2-პრინტი“.
- Эбанойдзе, А. (2010). „Годори“ вышел из античной трагедии. [“Godori” came out of an ancient tragedy]. // www.rcmagazine.ge
(<http://www.rcmagazine.ge/component/content/.../93.html?ed>)
- Эткинд, А. (2014). Внутренняя колонизация. [Имперский опыт России]. Москва, НЛО (387).

References:

- Burch'uladze, Z. (2011). *Adibas*. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba“.
- Ch'iladze, O. (2003). *Godori*, [Godori]. Tbilisi: rustavi 2-print.
- Chkheidze, O. (1999). Tetri datvi. [Polar bear]. Tbilisi: lomisi.
- Chkvanava, G. (2006). T'oreadori. [Toreadores]. Tbilisi: diogene.
- Ebanoidze, A. (2010). “Godori” vyshel iz antichnoy tragedii. [“Godori” came out of an ancient tragedy]. // www.rcmagazine.ge
(<http://www.rcmagazine.ge/component/content/.../93.html?ed>)
- Elbakidze, M. (2012). Gatsvla. [Exchange]. Tbilisi: diogene.
- Etkind, A. (2014). Vnutrennyaya koloniztsiya. [Imperskiy opyt Rossii]. Moskva: NLO (387)
- Kurkhuli, B. (2013). Chanats'erebi (1993-2011). [Memory]. Tbilisi: saunje.
- Megrelishvili, G. (2010). Int'erviu. [Inteview “Ciskari” magazine]. Zhurn. tsisk'ari, 10. Tbilisi.
- Megrelishvili, G., Demetrashvili T. (2010). Iratta.ru.. Tbilisi: aliansi.
- Melashvili, T. (2015). Gatvla. [Foresaght]. Tbilisi: diogene.
- Shat'aidze, N. (2010). Shekhvedra. [Meeting]. Tbilisi: kartuli biograpiuli tsentri.